# დანართი-შეთანხმება №1

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ს.ს „ხურო"-ს შორის 2014 წლის 29 დეკემბერს დადებული №463 ხელშეკრულებაზე

ქ. ქუთაისი 23 იანვარი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებლის" საკონკურსო წინადადების საფუძველზე, (საკონკურსო განაცხადი №1441. 22.12.2014 წ.) კონკურსის ჩატარების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ს.ს „ხურო"-ს შორის, 2014 წლის 29 დეკემბერს დაიდო №463 ხელშეკრულება 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარზე, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის, გამყოფი ზოლის, ტროტუარების, ბორდიურების, პანდუსების, გარე განათების და ღვარსადენი სისტემების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

ს.ს „ხურო"-ს 2015 წლის 13 იანვრის №03 (№01-131, 14.01.2015 წ.) წერილის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის 2015 წლის 23 იანვრის №01-12 (№01-131, 23.01.2015 წ.) მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის, გამყოფი ზოლის, ტროტუარების, ბორდიურების, პანდუსების, გარე განათების და ღვარსადენი სისტემების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დასრულების ვადა გაგრძელდეს 2015 წლის 31 იანვრამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ერთის მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ნოდარ მიქიაშვილი სახით (ქ. ქუთაისი 4600, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ: 24-10-24) (შემდგომში „შემსყიდველი").

მეორეს მხრივ ს.ს „ხურო", მისი დირექტორის დავით მელქაძის სახით (მისამართი:ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №92, ტელ: 577 40 65 64, 0(43) 24 27 87; ს/კ 212678397, ს.ს „თიბისი ბანკი"-ს ქუთაისის ფილიალი, ბანკის კოდი TBCBGE22; ა/ა GE08TB0300000020467476) (შემდგომში „მიმწოდებელი").

ვდებთ ამ შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს დადებული №463 ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მიმწოდებელი" ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 31 იანვრამდე.
2. მხარეები თანხმდებიან, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს დადებული №463 ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2015 წლის 28 თებერვლამდე.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს დადებული №463 ხელშეკრულების მე–10 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები გავრცელდება ამ დანართი შეთანხმების პირველი მუხლით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში.
4. დანართი შეთანხმება №1 ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2014 წლის 29 დეკემბერს დადებული №463 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

| | |
|---|---|
| ნოდარ მიქიაშვილი | დავით მელქაძე |
| ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე | ს.ს „ხურო"-ის დირექტორი |
| (შემსყიდველი) | (მიმწოდებელი) |

საქართველო
თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების,კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და
დასუფთავების სამსახური

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ტელ: (8995 331) 24-35-76

№ 01-12
„23" 01 2015 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველ მოადგილეს
ბატონ ნოდარ მიქიაშვილს

ბატონო ნოდარ,

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "ხუროს" შორის 2014 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული №463 ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, ორგანიზაციას ამუშავებს ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

რიგი პრობლემების გამო, ორგანიზაცია ითხოვს სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელებას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ჩვენს სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შპს "ხუროს" გაუგრძელდეს სამუშაოების შესრულების ვადა 2015 წლის 31 იანვრამდე.

გთხოვთ, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, დაავალოთ საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს გაუფორმოს შპს "ხურო"-ს დანართი-შეთანხმება სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელებაზე.

პატივისცემით
მალხაზ ბასილაძე
სამსახურის უფროსი

შემოსვლის № 01-131
23 01 2015 წ.

№ 8.
23 01 2015 წ.

საპროექტო-სამშენებლო კომპანია სს «ხურო»
Designing and Construction J.S.Company KHURO

№03
13. 01. 2015

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველ მოადგილეს
ბატონ ნოდარ მიქიაშვილს

ბატონო ნოდარ,

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან 2014 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული №463 ხელშეკრულების თანახმად სს „ხურო“ ამუშავებს ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციის პროექტს, სადაც პროექტის ჩაბარების ვადა 2015 წლის 22 იანვარია.

ნიკეას ქუჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭირო შეიქმნა რიგი საკითხების გარკვევა და დაზუსტება, როგორიცაა:

– ქალაქის სატრანსპორტო მოძრაობის სისტემაში ნიკეას ქუჩის ფუნქციისა და კატეგორის განსაზღვრა. ამისათვის საჭირო შეიქმნა ვარიანტების დამუშავება უკეთესის შერჩევისათვის.

– ზოგიერთი მიმდებარე ტერიტორიების საკუთრების გარკვევა და მათი გათვალისწინება

– ნიკეას ქუჩის გაგრძელების პროქტის ავტორებთან დაკავშირება და შეთანხმება და სხვა.

ქედან გამომდინარე გთხოვთ პროექტის ჩაბარების ვადა გაგვიგრძელოთ იანვრის თვის ბოლომდე /31 იანვარი/,

პატივისცემით,

დავით მელქაძე
დირექტორი

№ 01-12
22 01 2015 წ

№ 01-131
14 01 15

თამარ მეფის ქ.92. 4600. ქუთაისი. საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 (431) 24 27 87.
ელ.ფოსტა: info@khuro.ge

www.khuro.ge

Tamar Mephe str.92. 4600. Kutaisi. Georgia
Tel/Fax: +995 (431) 242787
E-mail: info@khuro.ge